



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030129928600919

№ 01-576/კ

14 / ნოემბერი / 2019 წ.

მარიანა მკურნალის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ო“ ქვეპუნქტების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გათავისუფლდეს მარიანა მკურნალი (პირადი № 01024037446) - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროტოკოლის სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, დაკავებული თანამდებობიდან, 2019 წლის 25 ნოემბრიდან.

2. წინამდებარე ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია, დაინტერესებული პირისათვის, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

საფუძველი: მარიანა მკურნალის 2019 წლის 12 ნოემბრის №01-11604 განცხადება.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელემენტულად



ეკატერინე ტიკარაძე



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030103303624217

№ 01-50/კ

27 / თებერვალი / 2017 წ.

მარიანა მკურნალის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 30-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 15 ივნისის №01-17/ნ ბრძანების მე-3 პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დაინიშნოს მარიანა მკურნალი (პირადი №01024037446) - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამინისტროს აპარატის (დეპარტამენტი) საერთაშორისო ურთიერთობებისა და აპარატის საქმისწარმოების სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე, დროებით მოვალეობის შემსრულებლად, 2017 წლის 27 თებერვლიდან, არაუმეტეს 2017 წლის 30 ივნისისა.

2. თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული თანამდებობრივი სარგოს მოცულობის შესაბამისად.

3. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის შესაბამისად ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

საფუძველი: მარიანა მკურნალის 2017 წლის 27 თებერვლის №20033 განცხადება

მინისტრი

დავით სერგუენკო

შრომითი ხელშეკრულება №23

ქ. თბილისი

„11“ „იანვარი“ 2013 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (შემდეგში – სამინისტრო) მინისტრის დავით დარახველიძის სახით, ხოლო მეორეს მხრივ მურად აბლოთია (შემდეგში – შემსრულებელი), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და გაეროს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისარიატის ერთობლივი პროექტის „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერება სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებისას“ (ხელშეკრულება №0000000223) შტატგარეშე მოსამსახურისთვის – სამინისტროს წარმომადგენელი დევნილთა საკითხებში - განსაზღვრული სამუშაოს შესრულება.

2. შემსრულებლისთვის განსაზღვრული სამუშაო

1. შემსრულებელი ვალდებულია განახორციელოს:

- ა) მონაწილეობა მიიღოს ექსპერტთა დროებითი ჯგუფებისა და სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში დევნილთა საკითხებთან დაკავშირებით
- ბ) უზრუნველყოს ანგარიშებისთვის დროული ინფორმაციის მიწოდება დევნილთა საკითხებზე
- გ) შეასრულოს პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა დავალებები

2. ხელშეკრულების პირობები

1. შემსრულებელი ვალდებულია შეასრულოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და გაეროს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისარიატის ერთობლივი პროექტის „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერება სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებისას“ (ხელშეკრულება №0000000223) შტატგარეშე მოსამსახურისთვის – სამინისტროს წარმომადგენელი დევნილთა საკითხებში - განსაზღვრული სამუშაო.

2. შემსრულებელს მიეცემა შრომითი გასამრჯელო 520 (ხუთას ოცი) ლარის ოდენობით ყოველთვიურად.

3. მხარეთა უფლებამოსილებები

1. სამინისტრო ვალდებულია:

- ა) განუსაზღვროს შემსრულებელს შესასრულებელი სამუშაო ვალდებულებები;

ბ) დაიცვას შემსრულებლის შრომითი უფლებები;
გ) დროულად და შეუფერხებლად აუნაზღაუროს შემსრულებელს შრომითი გასამრჯელო;

2. სამინისტრო უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსრულებელს მის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და გაეროს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისარიატის ერთობლივი პროექტით „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერება სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებისას“ (ხელშეკრულება №0000000223) ნაკისრი ვალდებულებების ხარისხიანი და ჯეროვანი შესრულება;
ბ) მოითხოვოს შემსრულებლისაგან მისი მიზეზით მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

გ) შესასრულებელი სამუშაოს საჭიროების არარსებობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, საკუთარი ინიციატივით ვადაძლე აღრე შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება;

დ) შემსრულებლის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისთვის, ხანგძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისთვის დააწესოს კანონით გათვალისწინებული წახალისების ფორმები.

3. შემსრულებელი ვალდებულია:

ა) შესასრულებელი საქმე განხორციელოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და გაეროს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისარიატის ერთობლივი პროექტის „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერება სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებისას“ (ხელშეკრულება №0000000223) შესაბამისად;

ბ) დაიცვას და არ დაუშვას სახელმწიფო ქონების განადგურება ან/და დაზიანება;

4. შემსრულებელი უფლებამოსილია:

ა) მოითხოვოს სამინისტროსაგან ხელშეკრულების პირობების ჯეროვანი შესრულება;

ბ) მოითხოვოს გაწეული შრომის ანაზღაურება.

4. დავების გადაწყვეტა

მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება უთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლო წესით.

5. ხელშეკრულების მოქმედება

1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2013 წლის 1 იანვრიდან და ძალაშია 2013 წლის 31 მარტის ჩათვლით.

2. შემსრულებელი ვალდებულია საკუთარი ინიციატივით ხელშეკრულების ვადაძლე შეწყვეტის შემთხვევაში სამინისტროს აცნობოს აღნიშნულის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტამდე ათი დღით აღრე მაინც.

3. სამინისტროს ან შემსრულებლის ინიციატივით ხელშეკრულების
ვადადმდე შეწყვეტის შემთხვევაში შემსრულებელი იღებს შრომით გასამრჯელოს
შესრულებული სამუშაოს პროპორციულად.

6. სხვა პირობები

1. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივეს გააჩნია
თანაბარი იურიდიული ძალა.


2. ორივე მხარეს გადაეცემა ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი.

7. მხარეთა რეკვიზიტები

სამინისტრო:

დავით დარახველიძე

მინისტრი



შემსრულებელი:

მურად აბლოთია

№62006005688 №0464439

გალი ზემო ბარდები

(მისამართი, რეკვიზიტები)



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030138391135619

№ 01-518/3

21 / ოქტომბერი / 2019 წ.

მურად აბლოთიას გათავისუფლების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, 108-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 110-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N199 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის მოხილვის წესის“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში სისტემური და ეფექტური მმართველობის უზრუნველსაყოფად მოსალოდნელი რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 24 ივლისის N 01-237/ო ბრძანების, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2019 წლის საშტატო ერთეულების რიცხოვნობის, სტრუქტურის, მოხელის თანამდებობათა იერარქიისა და თანამდებობრივი სარგოების მოცულობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 10 ოქტომბრის N 01-297/ო ბრძანების საფუძველზე განხორციელებული რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების, ასევე, თანდართული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის 2019 წლის 3 ოქტომბრის N01-10250 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. მურად აბლოთია (პირადი N62006005688) - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა და ეკომიგრანტთა პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან, 2019 წლის 22 ოქტომბრიდან და ჩაირიცხოს მოხელეთა რეზერვში 2 წლის ვადით და მასზე გაიცეს კომპენსაცია 3 (სამი) თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.
2. წინამდებარე ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

შტამპდასმულია
ელექტრონულად



ეკატერინე ტიკარაძე

C



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030162135401413

№ 01-326/ვ

31 / დეკემბერი / 2013 წ.

ლ ე ლ ა დ ა დ ე ლ ა შ ვ ი ლ ის თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ა ზ ე დ ა ნ ი შ ვ ნ ის შ ე ს ა ხ ე ბ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 29-ე მუხლისა და 35-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაინიშნოს ლელა დადელაშვილი (პირადი N01030027511) – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ღონისძიებათა დაგეგმვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე, 2014 წლის პირველი იანვრიდან.

2. თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული თანამდებობრივი სარგოს მოცულობის შესაბამისად.

3. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის შესაბამისად, ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

საფუძველი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამინისტროს აპარატის (დეპარტამენტი), მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტისა და შიდა აუდიტის დეპარტამენტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობის 2013 წლის 29 დეკემბრის სხდომის #2 ოქმი.

მინისტრი

დავით სერგუენკო



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

13 " 04 " 2008 წ.

თბილისი

№

189/5

ლელა დაღელაშვილის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 30-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად


გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დაინიშნოს ლელა დაღელაშვილი – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მასმედიასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე, მოვალეობის შემსრულებლად, 2008 წლის 3 აპრილიდან.

2. თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული თანამდებობრივი სარგოს მოცულობის შესაბამისად.

3. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის შესაბამისად ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია მისი ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1-ა).

საფუძველი: ლელა დაღელაშვილის წერილობითი განცხადება.



მინისტრი

[Handwritten signature]

ალექსანდრე კვიტაშვილი

[Handwritten signature]

[Handwritten signature]



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030116746401819

№ 01-51/კ

19 / თებერვალი / 2019 წ.

ეკატერინე ანდლულაძის გათავისუფლების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გათავისუფლდეს ეკატერინე ანდლულაძე (პირადი № 01017014590) - მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ღონისძიებათა დაგეგმვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული, 2019 წლის 19 თებერვლიდან და შეწყდეს მხარეთა შორის 2017 წლის 30 ივნისს დადებული №212 შრომითი ხელშეკრულება.
2. წინამდებარე ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია, დაინტერესებული პირისათვის, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

კუძველი: ეკატერინე ანდლულაძის 2019 წლის 19 თებერვლის №01-1617 განცხადება.

მინისტრი

ხელმოწერა
ფაქსი
ელ.ფოსტა



დავით სერგეენკო

თბილისი

ერთის მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში „დასაქმებლად“ წოდებული) წარმოდგენილი მინისტრის დავით სერგეენკოს სახით და მეორეს მხრივ მოქალაქე (შემდგომში „დასაქმებულად“ წოდებული) ეკატერინე ანდლულაძე, მცხოვრები: თბილისი, ქ. შარტავას 45, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის №13IG00138, პირადი ნომერი №01017014590

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს მე-6 მუხლის 1² ნაწილის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- 1.1 დასაქმებული მიიღება შრომითი ხელშეკრულებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მასშტაბთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის შტატგარეშე მუშაკად.
- 1.2 დასაქმებულს ევალება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მასშტაბთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში ცხელი ხაზის (15-05) ოპერატორის მოვალეობის შესრულება.

მუხლი 2. შრომითი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი

შრომითი ხელშეკრულება მოქმედებს 2014 წლის პირველი ოქტომბრიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 3. დასაქმებულის უფლებები და მოვალეობები

3.1 დასაქმებული მოვალეა:

- 3.1.1 ჯეროვნად, დროულად, ხარისხიანად და კეთილსინდისიერად შეასრულოს მისთვის მინდობილი სამუშაო;
- 3.1.2 განხორციელებული სამუშაოს შესახებ წარადგინოს ანგარიში ხელმძღვანელობის მოთხოვნისთანავე, თუ კანონმდებლობით, დებულებით და შინაგანაწესით სხვა რამ არ არის დადგენილი;
- 3.1.3 კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები, სამინისტროს შინაგანაწესი, ხელმძღვანელობის ბრძანებები და მითითებები;
- 3.1.4 გაუფრთხილდეს სამინისტროს ქონებას, უზრუნველყოს მისთვის ჩაბარებული დოკუმენტაციის ჯეროვანი დაცვა;
- 3.1.5 კანონმდებლობით დადგენილი წესით, ვალდებულია დაიცვას სახელმწიფო, სამსახურებრივი და კანონით დაცული სხვა საიდუმლოება, როგორც სამსახურში ყოფნის დროს, ასევე მისი შეწყვეტის შემდეგ;
- 3.1.6 მთლიანად მოახმაროს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო დრო ორგანიზაციის ინტერესებს;
- 3.1.7 თავის კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილება და იმოქმედოს დამოუკიდებლად;
- 3.1.8 შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის (გათავისუფლების) შემდეგ, დააბრუნოს მინდობილი ქონება და ყველა დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სამსახურებრივ ინფორმაციას.

3.2 დასაქმებულს უფლება აქვს:

- 3.2.1 მოითხოვოს ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ სამუშაოს სათანადო შესრულებასთან;
- 3.2.2 მოითხოვოს დამსაქმებლისგან წინამდებარე შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულება;
- 3.2.3 ისარგებლოს კანონით დადგენილი სხვა უფლებებით.
- 3.3 დასაქმებული უშუალოდ ანგარიშვალდებულია სამინისტროს მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის წინაშე.

მუხლი 4. დამსაქმებლის უფლებები და მოვალეობები

4.1 დამსაქმებელი მოვალეა:

- 4.1.1 შეუქმნას დასაქმებულს ნორმალური სამუშაო პირობები დაკისრებული მოვალეობების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის;
- 4.1.2 მოახდინოს შრომის ანაზღაურება მე-5 მუხლში მითითებული ოდენობით;
- 4.1.3 წინამდებარე შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში უზრუნველყოს დასაქმებულის დამოუკიდებლობა დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისა და გადაწყვეტილების მიღების დროს.
- 4.2 დამსაქმებელს უფლება აქვს:

4.2.1 მოითხოვოს დასაქმებულს წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების, ორგანიზაციის შინაგანაწესისა და თანამდებობრივი ინსტრუქციის დაცვა. ასევე, მოითხოვოს ინფორმაცია დაკისრებული სამუშაოების შესრულების შესახებ;

4.2.2 გააგზავნოს დასაქმებული მივლინებებში ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე;

4.2.3 დასაქმებულის მიერ სამსახურებრივი მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის, ერთდროულად და ცალ-ცალკე გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება, პრემია, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

4.2.4 დასაქმებულის მიერ სამსახურებრივი მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების, დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენების ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების ბრალეული შექმნის, ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მუშაკისა და დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელის („ბრალეული ქმედება“ განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ), ადმინისტრაციისა და უშუალო ხელმძღვანელის ბრძანებებისა და მითითებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები: შენიშვნა, გაფრთხილება, არა უმეტეს ათი სამუშაო დღის შრომის ანაზღაურების დაკავება, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ჩამოშორება შრომის ანაზღაურების შეჩერებით – არა უმეტეს ათი სამუშაო დღისა, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა.

მუხლი 5. შრომის ანაზღაურება

დამსაქმებელი დასაქმებულს ყოველთვიურად, შრომის ანაზღაურების სახით, უხდის 800 (რვაასი) ლარს.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის პასუხს აგებენ ამ შრომითი ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი

7.1. შრომითი ხელშეკრულება წყდება:

7.1.2 წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების მე-2 მუხლით დაწესებული ვადის გასვლისთანავე;

7.1.3 საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტით.

მუხლი 8. სადავო საკითხების გადაწყვეტა

მხარეთა შორის ყველა დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეთა შორის წარმოშობილი დავები განიხილება სასამართლო წესით.

მუხლი 9. შრომითი ხელშეკრულების სხვა პირობები

9.1 შრომითი ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე დამატებით სიტყვიერ შეთანხმებას.

9.2 შრომითი ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

9.3 შრომითი ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

9.4 შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება გაგრძელდეს შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

9.5 ყველა სხვა საკითხი, რომელიც წინამდებარე შრომითი ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონით საქართველოს შრომის კოდექსით.


9.6 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

„დამსაქმებელი“

„დასაქმებული“

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრი

მინისტრი
დავით სერგუაძე



[Handwritten signature]

ეკატერინე ანდლულაძე



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030169219801919

№ 01-89/კ

19 / მარტი / 2019 წ.

ნინო სიბაშვილის გათავისუფლების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ნინო სიბაშვილი (პირადი № 01030014109) - შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, გათავისუფლდეს 2019 წლის 18 მარტიდან და შეწყდეს მხარეთა შორის 2018 წლის 27 დეკემბერს დადებული №165 შრომითი ხელშეკრულება.

2. წინამდებარე ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირისთვის მისი აცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში აპმართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

საფუძველი: ნინო სიბაშვილის 2019 წლის 18 მარტის №01-2564 განცხადება.

მინისტრი

ხელმოწერა/
ფაქსი/დასტავა
ელექტრონულად



დავით სერგეენკო

ერთის მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში „დასაქმებელი“) წარმოდგენილი მინისტრის დავით სერგეენკოს სახით და მეორეს მხრივ, მოქალაქე ნინო სიბაშვილი (შემდგომში „დასაქმებული“) მცხოვრები: ქ. თბილისი, დავითაშვილის N17, პირადობის მოწმობის Nა0669865, პირადი №01030014109

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს მე-6 მუხლის 1² ნაწილის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1 დასაქმებული მიიღება „შრომის პირობების ინსპექტირების 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის N19 დადგენილების შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის შტატგარეშე თანამშრომლად.

1.2 დასაქმებულს ევალება „შრომის პირობების ინსპექტირების“ სახელმწიფო პროგრამის (პროგრამული კოდი - 35 05 03) ფარგლებში სხვადასხვა სამუშაოს შესრულება.

მუხლი 2. შრომითი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი
შრომითი ხელშეკრულება მოქმედებს 2016 წლის 22 იანვრიდან 2016 წლის 22 აპრილის ჩათვლით.

მუხლი 3. დასაქმებულის უფლებები და მოვალეობები

3.1 დასაქმებული მოვალეა:

- 3.1.1 დაიცვას კონსტიტუცია და კანონები, პატივი სცეს სახელმწიფოს ინტერესებს და ავტორიტეტს, მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს;
- 3.1.2 სპეციალური მითითებების გარეშე დაიცვას ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც სამსახურს ეხება და მის სამსახურებრივ ადგილს უკავშირდება;
- 3.1.3 ჯეროვნად, დროულად, ხარისხიანად და კეთილსინდისიერად შეასრულოს მისთვის მინდობილი სამუშაო;
- 3.1.4 განხორციელებული სამუშაოს შესახებ წარადგინოს ანგარიში ხელმძღვანელობის მოთხოვნისთანავე, თუ კანონმდებლობით, დებულებით და შინაგანაწესით სხვა რამ არ არის დადგენილი;
- 3.1.5 კეთილსინდისიერად შეასრულოს სამინისტროს შინაგანაწესი, ხელმძღვანელობის ბრძანებები და მითითებები;
- 3.1.6 გაუფრთხილდეს სამინისტროს ქონებას, უზრუნველყოს მისთვის ჩაბარებული დოკუმენტაციის ჯეროვანი დაცვა;
- 3.1.7 კანონმდებლობით დადგენილი წესით, ვალდებულია დაიცვას სახელმწიფო, სამსახურებრივი და კანონით დაცული სხვა საიდუმლოება, როგორც სამსახურში ყოფნის დროს, ასევე მისი შეწყვეტის შემდეგ;
- 3.1.8 მიზანმიმართულად არ გაავრცელოს საეჭვო, გადაუმოწმებელი ან/და მცდარი ინფორმაცია;
- 3.1.9 მთლიანად მოახმაროს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო დრო ორგანიზაციის ინტერესებს;

3.1.10 თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილება და იმოქმედოს დამოუკიდებლად;

3.1.11 შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის (გათავისუფლების) შემდეგ, დააბრუნოს მინდობილი ქონება და ყველა დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სამსახურებრივ ინფორმაციას.

3.2 დასაქმებულს უფლება აქვს:

3.2.1 მოითხოვოს ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ სამუშაოს სათანადო შესრულებასთან;

3.2.2 მოითხოვოს დამსაქმებლისგან წინამდებარე შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულება;

3.2.3 ისარგებლოს კანონით დადგენილი სხვა უფლებებით.

3.3 დასაქმებული უშუალოდ ანგარიშვალდებულია შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის წინაშე, ხოლო „შრომის პირობების ინსპექტირების“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, აგრეთვე შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის წინაშე.

მუხლი 4. დამსაქმებლის უფლებები და მოვალეობები

4.1 დამსაქმებელი მოვალეა:

4.1.1 შეუქმნას დასაქმებულს ნორმალური სამუშაო პირობები დაკისრებული მოვალეობების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის;

4.1.2 მოახდინოს შრომის ანაზღაურება მე-5 მუხლში მითითებული ოდენობით;

4.1.3 წინამდებარე შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში უზრუნველყოს დასაქმებულის დამოუკიდებლობა დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისა და გადაწყვეტილების მიღების დროს.

4.2 დამსაქმებელს უფლება აქვს:

4.2.1 მოსთხოვოს დასაქმებულს წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების, ორგანიზაციის შინაგანაწესისა და თანამდებობრივი ინსტრუქციის დაცვა. ასევე, მოითხოვოს ინფორმაცია დაკისრებული სამუშაოების შესრულების შესახებ;

4.2.2 გააგზავნოს დასაქმებული მივლინებებში ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე;

4.2.3 დასაქმებულის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის, ერთდროულად და ცალ-ცალკე გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მაღლობის გამოცხადება, პრემია, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

4.2.4 დასაქმებულის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების, დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენების ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების ბრალეული შექმნის, ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან თანამშრომლისა და დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელის („ბრალეული ქმედება“ განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ), ადმინისტრაციისა და უშუალო ხელმძღვანელის ბრძანებებისა და მითითებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები: შენიშვნა, გაფრთხილება, არა უმეტეს ათი სამუშაო დღის შრომის ანაზღაურების დაკავება, სამსახურებრივ მოვალეობის შესრულებისაგან ჩამოშორება შრომის ანაზღაურების შეჩერებით – არა უმეტეს ათი სამუშაო დღისა, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა;

4.2.5 დასაქმებულს ვადამდე ადრე მოუხსნას დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ მან არ ჩაიდინა ახალი გადაცდომა და თავი გამოიჩინა, როგორც კეთილსინდისიერმა თანამშრომელმა.

მუხლი 5. შრომის ანაზღაურება

დამსაქმებელი დასაქმებულს ყოველთვიურად, შრომის ანაზღაურების სახით, („შრომის პირობების ინსპექტირების“ სახელმწიფო პროგრამა (პროგრამული კოდი - 35 05 03)) უხდის 1000 (ათასი) ლარს.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის პასუხს აგებენ ამ შრომითი ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი

7.1. შრომითი ხელშეკრულება წყდება:

7.1.2 წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების მე-2 მუხლით დაწესებული ვადის გასვლისთანავე;

7.1.3 საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს 37-ე მუხლით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტით.

მუხლი 8. სადავო საკითხების გადაწყვეტა

მხარეთა შორის ყველა დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეთა შორის წარმოშობილი დავები განიხილება სასამართლო წესით.

მუხლი 9. შრომითი ხელშეკრულების სხვა პირობები

9.1 შრომითი ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე დამატებით სიტყვიერ შეთანხმებას.

9.2 შრომითი ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

9.3 შრომითი ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

9.4 შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება გაგრძელდეს შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

9.5 თუ თანამშრომელს ერთი წლის ვადაში არ შეეფარდა ახალი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, იგი ითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ.

9.6 ყველა სხვა საკითხი, რომელიც წინამდებარე შრომითი ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“-თ.

9.7 შრომითი ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

„დამსაქმებელი“

„დასაქმებული“

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრო

მინისტრი
დავით სერგეენკო



ნინო სიბაშვილი



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030116841948219

№ 01-277/კ

06 / აგვისტო / 2019 წ.

ლევან კაკაჩიას გათავისუფლების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ლევან კაკაჩია (პირადი № 39001038386) - შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, გათავისუფლდეს 2019 წლის 8 აგვისტოდან და შეწყდეს მხარეთა შორის 2018 წლის 27 დეკემბერს დადებული №187 შრომითი ხელშეკრულება.

2. წინამდებარე ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია, დაინტერესებული პირისათვის, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (სამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

საფუძველი: ლევან კაკაჩიას 2019 წლის 30 ივლისის №01-7704 განცხადება.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამმდებელია
ელმძებრუნულად



ეკატერინე ტიკარაძე

თბილისი

ერთის მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში „დამსაქმებელი“) წარმოდგენილი მინისტრის დავით სერგეენკოს სახით და მეორეს მხრივ, მოქალაქე ლევანი კაკაჩია (შემდგომში „დასაქმებული“) მცხოვრები: ქ. სენაკი, ხორავას ქ. N3, პასპორტის N12IA69692, პირადი №39001038386

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს მე-6 მუხლის 1² ნაწილის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1 დასაქმებული მიიღება „შრომის პირობების ინსპექტირების 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის N19 დადგენილების შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის შტატგარეშე თანამშრომლად.

1.2 დასაქმებულს ევალება „შრომის პირობების ინსპექტირების“ სახელმწიფო პროგრამის (პროგრამული კოდი - 35 05 03) ფარგლებში სხვადასხვა სამუშაოს შესრულება.

მუხლი 2. შრომითი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი
შრომითი ხელშეკრულება მოქმედებს 2016 წლის 22 იანვრიდან 2016 წლის 22 აპრილის ჩათვლით.

მუხლი 3. დასაქმებულის უფლებები და მოვალეობები

3.1 დასაქმებული მოვალეა:

- 3.1.1 დაიცვას კონსტიტუცია და კანონები, პატივი სცეს სახელმწიფოს ინტერესებს და ავტორიტეტს, მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს;
- 3.1.2 სპეციალური მითითებების გარეშე დაიცვას ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც სამსახურს ეხება და მის სამსახურებრივ ადგილს უკავშირდება;
- 3.1.3 ჯეროვნად, დროულად, ხარისხიანად და კეთილსინდისიერად შეასრულოს მისთვის მინდობილი სამუშაო;
- 3.1.4 განხორციელებული სამუშაოს შესახებ წარადგინოს ანგარიში ხელმძღვანელობის მოთხოვნისთანავე, თუ კანონმდებლობით, დებულებით და შინაგანაწესით სხვა რამ არ არის დადგენილი;
- 3.1.5 კეთილსინდისიერად შეასრულოს სამინისტროს შინაგანაწესი, ხელმძღვანელობის ბრძანებები და მითითებები;
- 3.1.6 გაუფრთხილდეს სამინისტროს ქონებას, უზრუნველყოს მისთვის ჩაბარებული დოკუმენტაციის ჯეროვანი დაცვა;
- 3.1.7 კანონმდებლობით დადგენილი წესით, ვალდებულია დაიცვას სახელმწიფო, სამსახურებრივი და კანონით დაცული სხვა საიდუმლოება, როგორც სამსახურში ყოფნის დროს, ასევე მისი შეწყვეტის შემდეგ;
- 3.1.8 მიზანმიმართულად არ გაავრცელოს საეჭვო, გადაუმოწმებელი ან/და მცდარი ინფორმაცია;
- 3.1.9 მთლიანად მოახმაროს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო დრო ორგანიზაციის ინტერესებს;

3.1.10 თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილება და იმოქმედოს დამოუკიდებლად;

3.1.11 შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის (გათავისუფლების) შემდეგ, დააბრუნოს მინდობილი ქონება და ყველა დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სამსახურებრივ ინფორმაციას.

3.2 დასაქმებულს უფლება აქვს:

3.2.1 მოითხოვოს ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ სამუშაოს სათანადო შესრულებასთან;

3.2.2 მოითხოვოს დამსაქმებლისგან წინამდებარე შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულება;

3.2.3 ისარგებლოს კანონით დადგენილი სხვა უფლებებით.

3.3 დასაქმებული უშუალოდ ანგარიშვალდებულია შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის წინაშე, ხოლო „შრომის პირობების ინსპექტირების“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, აგრეთვე შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის წინაშე.

მუხლი 4. დამსაქმებლის უფლებები და მოვალეობები

4.1 დამსაქმებელი მოვალეა:

4.1.1 შეუქმნას დასაქმებულს ნორმალური სამუშაო პირობები დაკისრებული მოვალეობების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის;

4.1.2 მოახდინოს შრომის ანაზღაურება მე-5 მუხლში მითითებული ოდენობით;

4.1.3 წინამდებარე შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში უზრუნველყოს დასაქმებულის დამოუკიდებლობა დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისა და გადაწყვეტილების მიღების დროს.

4.2 დამსაქმებელს უფლება აქვს:

4.2.1 მოსთხოვოს დასაქმებულს წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების, ორგანიზაციის შინაგანაწესისა და თანამდებობრივი ინსტრუქციის დაცვა. ასევე, მოითხოვოს ინფორმაცია დაკისრებული სამუშაოების შესრულების შესახებ;

4.2.2 გააგზავნოს დასაქმებული მივლინებებში ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე;

4.2.3 დასაქმებულის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის, ერთდროულად და ცალ-ცალკე გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება, პრემია, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

4.2.4 დასაქმებულის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების, დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენების ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების ბრალეული შექმნის, ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან თანამშრომლისა და დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელის („ბრალეული ქმედება“ განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ), ადმინისტრაციისა და უშუალო ხელმძღვანელის ბრძანებებისა და მითითებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები: შენიშვნა, გაფრთხილება, არა უმეტეს ათი სამუშაო დღის შრომის ანაზღაურების დაკავება, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ჩამოშორება შრომის ანაზღაურების შეჩერებით – არა უმეტეს ათი სამუშაო დღისა, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა;

4.2.5 დასაქმებულს ვადამდე ადრე მოუხსნას დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ მან არ ჩაიდინა ახალი გადაცდომა და თავი გამოიჩინა, როგორც კეთილსინდისიერმა თანამშრომელმა.

მუხლი 5. შრომის ანაზღაურება

დამსაქმებელი დასაქმებულს ყოველთვიურად, შრომის ანაზღაურების სახით, („შრომის პირობების ინსპექტირების“ სახელმწიფო პროგრამა (პროგრამული კოდი - 35 05 03)) უხდის 1000 (ათასი) ლარს.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის პასუხს აგებენ ამ შრომითი ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი

7.1. შრომითი ხელშეკრულება წყდება:

7.1.2 წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების მე-2 მუხლით დაწესებული ვადის გასვლისთანავე;

7.1.3 საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს 37-ე მუხლით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტით.

მუხლი 8. სადავო საკითხების გადაწყვეტა

მხარეთა შორის ყველა დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეთა შორის წარმოშობილი დავები განიხილება სასამართლო წესით.

მუხლი 9. შრომითი ხელშეკრულების სხვა პირობები

9.1 შრომითი ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე დამატებით სიტყვიერ შეთანხმებას.

9.2 შრომითი ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

9.3 შრომითი ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

9.4 შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება გაგრძელდეს შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

9.5 თუ თანამშრომელს ერთი წლის ვადაში არ შეეფარდა ახალი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, იგი ითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ.

9.6 ყველა სხვა საკითხი, რომელიც წინამდებარე შრომითი ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“-თ.

9.7 შრომითი ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

„დამსაქმებელი“

საქართველოს შრომის, ადამიანთა და სოციალური დაცვის სამინისტრო

მინისტრი
დავით სერგეენკო



„დასაქმებული“

წაყვანა

ლევანი კაკაჩია



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030127673091019

№ 01-21/დ

22 / ნოემბერი / 2019 წ.

არჩილ ორჯონიკიძის გათავისუფლების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 84 - ე მუხლის მე-2 პუნქტის, 94-ე მუხლისა და 96-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის, შრომის ინსპექტორის არჩილ ორჯონიკიძის მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაცდომისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების არჩილ ორჯონიკიძის, ნუკრი მელექსიშვილის, ჯუმბერ ხელაძისა და მარიამ კარკაძის მიმართ დისციპლინური წარმოების შედეგების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის 2019 წლის 19 ნოემბრის დასკვნის №02-2019-08 გათვალისწინებით,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. გათავისუფლდეს არჩილ ორჯონიკიძე (პირადი N01007012489) - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული, შრომის ინსპექტორი, 2019 წლის 22 ნოემბრიდან.

2. წინამდებარე ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია, დაინტერესებული პირისათვის, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

საფუძველი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის კახაბერ ძიმისტარიშვილის 2019 წლის 19 ნოემბრის N01-11849 მოხსენებითი ბარათი და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების არჩილ ორჯონიკიძის, ნუკრი მელექსიშვილის, ჯუმბერ ხელაძისა და მარიამ კარკაძის მიმართ დისციპლინური წარმოების შედეგების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის 2019 წლის 19 ნოემბრის დასკვნა №02-2019-08.

მ. ვიჭახიძე

26. 11. 2019

ხელმოწერა

შრომითი ხელშეკრულება N 6

თბილისი

20 „ 09 “ 2018 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში – დაწესებულება), წარმოდგენილი მინისტრის დავით სერგუენკოს სახით და მეორე მხრივ, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული არჩილ ორჯონიკიძე (პირადი №01007012489) (შემდგომში – ხელშეკრულებით დასაქმებული პირი), ვმოქმედებთ რა საქართველოს ორგანული კანონით – „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს მე-6 მუხლის 1² ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებამოსილებით, ვდებთ წინამდებარე შრომით ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია, მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მიერ ანაზღაურების სანაცვლოდ სხვადასხვა სამუშაოს შესრულება.

1.2. მოქმედი კანონმდებლობით, შრომის პირობების ინსპექტირების შესაბამისი წლის სახელმწიფო პროგრამითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში, ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ინიშნება შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტში შრომითი ხელშეკრულებით, გამოსაცდელი ვადით.

მუხლი 2. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის ფუნქციები

2.1. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის სამუშაო აღწერილობა შეიცავს დასაქმებულის მიერ „შრომის პირობების ინსპექტირების“ სახელმწიფო პროგრამის (პროგრამული კოდი - 35 05 03) ფარგლებში სხვადასხვა სამუშაოს შესრულებას.

მუხლი 3. დაწესებულების უფლება-მოვალეობები

3.1. დაწესებულებას უფლება აქვს, სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად ხელშეკრულებით დასაქმებული პირი გაგზავნოს სამსახურებრივი მივლინებით, როგორც ქვეყნის ფარგლებში, ისე მის ფარგლების გარეთ.

3.2. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

3.3. დაწესებულებას უფლება აქვს, ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება; ფასიანი საჩუქრის მიცემა.

3.4. დაწესებულება ვალდებულია, გააცნოს ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს შინაგანაწესი და მისი მოთხოვნის საფუძველზე, გადაეცეს იგი. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დასტურდება შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი.

3.5. დაწესებულება ვალდებულია, შექმნას შესაბამისი სამუშაო გარემო, აგრეთვე უზრუნველყოს ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მიმართ თანაბარი და სამართლიანი

მოპყრობა ადამიანური რესურსების მართვის, კარიერული წინსვლის, ანაზღაურებისა და სამართლებრივი დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

3.6. ხელშეკრულების მხარეთა შორის ურთიერთობები, რომელსაც არ ითვალისწინებს წინამდებარე ხელშეკრულება, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის უფლება-მოვალეობები

4.1. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, ჰქონდეს უსაფრთხო სამუშაო პირობები და მიიღოს სამსახურებრივი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებები.

4.2. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის სამუშაო დრო არის კალენდარული დროის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც უნდა განახორციელოს თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილება.

4.2.1. ხელშეკრულებით დასაქმებული პირისთვის დადგენილია 5-დღიანი სამუშაო კვირა. სამუშაო დროის ხანგრძლივობა დღეში არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს, ხოლო კვირაში – 40 საათს.

4.2.2. ხელშეკრულებით დასაქმებული პირისთვის დასვენების დრო და უქმე დღეები განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით – „საქართველოს შრომის კოდექსით“.

4.3. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაო სრულდება მხოლოდ ზემდგომი თანამდებობის პირის წერილობითი დავალების საფუძველზე.

4.3.1. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მიერ შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება დასაქმებულის სურვილის შესაბამისად მისთვის დანამატის ან ზეგანაკვეთური სამუშაოს პროპორციული დამატებითი დასვენების დროის მიცემით.

4.3.2. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის სამუშაო დროის ხანგრძლივობა ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების დროსთან ერთად არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 48 საათს.

4.3.3. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, 1 წლამდე ასაკის ბავშვის აღზრდისათვის, აგრეთვე ორსულობის პერიოდში ისარგებლოს ნახევარ განაკვეთზე მუშაობის უფლებით.

4.3.4. საჯარო სამსახურში ნახევარ განაკვეთზე მუშაობის, დამის საათებში, დასვენებისა და უქმე დღეებში, ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

4.3.5. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ორსულთა და მეძუძურ დედათა სამუშაო და დასვენების საათები, ზეგანაკვეთური სამუშაოსა და ნახევარ განაკვეთზე მუშაობის ანაზღაურების პირობები განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით.

4.4. ხელშეკრულებით დასაქმებული პირისთვის დადგენილია ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება 24 სამუშაო დღის ოდენობით.

4.4.1. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა ხელშეკრულების გაფორმებიდან 11 თვის გასვლის შემდეგ. უფლებამოსილი პირის თანხმობით, ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს შვებულება შეიძლება ამ ვადის გასვლამდეც მიეცეს. ხელშეკრულების გაფორმებიდან მეორე წლიდან პირს შვებულება სამუშაო წლის ნებისმიერ დროს მიეცემა.

4.4.2. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება ნაწილ-ნაწილ გამოიყენოს.

4.4.3. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, კალენდარული წლის განმავლობაში გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულებით მომდევნო კალენდარულ წელს ისარგებლოს. ამ შემთხვევაში, შვებულების პერიოდულობა დაწესებულების ხელმძღვანელთან უნდა შეთანხმდეს.

4.5. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს ეძლევა შვებულებები ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და ახალშობილის შვილად აყვანის გამო, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

4.6. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, საჯარო სამსახურში საკუთარი უფლებების დასაცავად შექმნას პროფესიული კავშირი ან იყოს მისი წევრი.

4.6.1. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, არჩეულ იქნეს პროფესიული კავშირის მართვის ორგანოებში და მონაწილეობა მიიღოს მის საქმიანობაში ანაზღაურების გარეშე, სამსახურისაგან თავისუფალ დროს.

4.7. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უნდა ეცნობოს საჯარო სამსახურში მის საქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და მის მიმართ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების შესახებ, გარდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

4.7.1. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, გაეცნოს მის პირად საქმეს და ფაქტობრივი გარემოების შეცვლის შემთხვევაში, მოითხოვოს მასში ცვლილების შეტანა.

4.7.2. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, მოითხოვოს დისციპლინური წარმოება მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გასაბათილებლად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

4.7.3. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, ისარგებლოს დამცველის დახმარებით და გაასაჩივროს მის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.8. ხელშეკრულებით დასაქმებული პირი სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვით, რომელიც გულისხმობს მის ვალდებულებას, სამუშაო საათებში თავი შეიკავოს პოლიტიკური აქტივობისაგან, საჯარო სამსახურის მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად.

4.9. ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ვალდებულია, დაიცვას „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო სამსახურის პრინციპები და თავი შეიკავოს ისეთი ქმედებისაგან, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საჯარო სამსახურის რეპუტაციას.

4.9.1. ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ვალდებულია, სპეციალური მითითების გარეშე შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობა, დაიცვას სამართლებრივი აქტების მოთხოვნები და ნაკისრი ვალდებულების შესრულების დროს იხელმძღვანელოს საქართველოს კანონმდებლობითა და მის მიერ დაკავებული თანამდებობისათვის დადგენილი სამუშაო აღწერილობით.

4.9.2. ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ვალდებულია, პატივი სცეს საქართველოს კონსტიტუციას, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ემსახუროს ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებს.

4.9.3. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ეკისრება სრული პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერებისთვის.

4.10. ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ვალდებულია, შეასრულოს უშუალო ხელმძღვანელის განკარგულება, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, იმ შემთხვევაშიც, თუ ასეთი განკარგულების შესრულება არ განეკუთვნება მის ფუნქციებს და მისი შესრულება, საჯარო დაწესებულების ფუნქციონირების ინტერესების გათვალისწინებით, აუცილებელია სტიქიური უბედურებისა და უბედური შემთხვევის თავიდან დროულად ასაცილებლად, ქონების დაღუპვისა და გაფუჭებისაგან დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი განკარგულების შესრულება საზიანოა ხელშეკრულებით დასაქმებული პირის ჯანმრთელობისათვის ან აშკარად აღემატება მის შესაძლებლობებს. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, უარი განაცხადოს განკარგულების შესრულებაზე, თუ:

4.10.1. განკარგულება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

4.10.2. განკარგულების გაცემა სცილდება განკარგულების გამცემის უფლებამოსილების ფარგლებს.

4.10.3. განკარგულების შესრულება საჭიროებს განსხვავებულ კომპეტენციასა და პროფესიულ უნარებს, რომლებიც მას არ აქვს.

4.10.4. განკარგულების შესრულება საზიანოა მისი ჯანმრთელობისათვის.

4.10.5. განკარგულება მიმართულია „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ.

4.10.6. განკარგულების შესრულება გამოიწვევს დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენას.

4.11. ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ვალდებულია: საქმიანობა გამჭვირვალედ და ღიად განახორციელოს; უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის დაინტერესებულ პირზე გაცემა ან/და ხელი შეუწყოს მის გაცემას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; გამჟღავნებისგან დაიცვას სხვისი პერსონალური მონაცემები, სახელმწიფო, კომერციული და პროფესიული საიდუმლოებები, რომლებიც მისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გახდა ცნობილი; სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოპოვებული ინფორმაცია მხოლოდ კანონით განსაზღვრული მიზნით გამოიყენოს.

4.12. ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ვალდებულია, როგორც სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, ისე სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ არ გაავრცელოს სახელმწიფო, კომერციული და პროფესიული საიდუმლოებები, სხვა პირის ოჯახურ და პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, აგრეთვე სხვა ინფორმაცია (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილის გათვალისწინებით), რომლებიც მისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გახდა ცნობილი.

4.13. ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ვალდებულია, სამსახურებრივი უფლებამოსილება რესურსების ეკონომიურად გამოყენებითა და ხარჯვით განახორციელოს და რაციონალურად გამოიყენოს საჯარო დაწესებულების ქონება, რომელიც დაწესებულების გამართულ საქმიანობას ემსახურება.

4.4.3. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, კალენდარული წლის განმავლობაში გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულებით მომდევნო კალენდარულ წელს ისარგებლოს. ამ შემთხვევაში, შვებულების პერიოდულობა დაწესებულების ხელმძღვანელთან უნდა შეთანხმდეს.

4.5. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს ეძლევა შვებულებები ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და ახალშობილის შვილად აყვანის გამო, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

4.6. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, საჯარო სამსახურში საკუთარი უფლებების დასაცავად შექმნას პროფესიული კავშირი ან იყოს მისი წევრი.

4.6.1. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, არჩეულ იქნეს პროფესიული კავშირის მართვის ორგანოებში და მონაწილეობა მიიღოს მის საქმიანობაში ანაზღაურების გარეშე, სამსახურისაგან თავისუფალ დროს.

4.7. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უნდა ეცნობოს საჯარო სამსახურში მის საქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და მის მიმართ

მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების შესახებ, გარდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

4.7.1. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, გაეცნოს მის პირად საქმეს და ფაქტობრივი გარემოების შეცვლის შემთხვევაში, მოითხოვოს მასში ცვლილების შეტანა.

4.7.2. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, მოითხოვოს დისციპლინური წარმოება მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გასაბათილებლად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

4.7.3. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, ისარგებლოს დამცველის დახმარებით და გაასაჩივროს მის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.8. ხელშეკრულებით დასაქმებული პირი სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვით, რომელიც გულისხმობს მის ვალდებულებას, სამუშაო საათებში თავი შეიკავოს პოლიტიკური აქტივობისაგან, საჯარო სამსახურის მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად.

4.9. ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ვალდებულია, დაიცვას „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო სამსახურის პრინციპები და თავი შეიკავოს ისეთი ქმედებისაგან, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საჯარო სამსახურის რეპუტაციას.

4.9.1. ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ვალდებულია, სპეციალური მითითების გარეშე შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობა, დაიცვას სამართლებრივი აქტების მოთხოვნები და ნაკისრი ვალდებულების შესრულების დროს იხელმძღვანელოს საქართველოს კანონმდებლობითა და მის მიერ დაკავებული თანამდებობისათვის დადგენილი სამუშაო აღწერილობით.

4.9.2. ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ვალდებულია, პატივი სცეს საქართველოს კონსტიტუციას, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ემსახუროს ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებს.

4.9.3. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ეკისრება სრული პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერებისთვის.

4.10. ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ვალდებულია, შეასრულოს უშუალო ხელმძღვანელის განკარგულება, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, იმ შემთხვევაშიც, თუ ასეთი განკარგულების შესრულება არ განეკუთვნება მის ფუნქციებს და მისი შესრულება, საჯარო დაწესებულების ფუნქციონირების ინტერესების გათვალისწინებით, აუცილებელია სტიქიური უბედურებისა და უბედური შემთხვევის თავიდან დროულად ასაცილებლად, ქონების დაღუპვისა და გაფუჭებისაგან დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი განკარგულების შესრულება საზიანოა ხელშეკრულებით დასაქმებული პირის ჯანმრთელობისათვის ან აშკარად აღემატება მის შესაძლებლობებს. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, უარი განაცხადოს განკარგულების შესრულებაზე, თუ:

4.10.1. განკარგულება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

4.10.2. განკარგულების გაცემა სცილდება განკარგულების გამცემის უფლებამოსილების ფარგლებს.

4.10.3. განკარგულების შესრულება საჭიროებს განსხვავებულ კომპეტენციასა და პროფესიულ უნარებს, რომლებიც მას არ აქვს.

4.10.4. განკარგულების შესრულება საზიანოა მისი ჯანმრთელობისათვის.

4.10.5. განკარგულება მიმართულია „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ.

4.10.6. განკარგულების შესრულება გამოიწვევს დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენას.

4.11. ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ვალდებულია: საქმიანობა გამჭვირვალედ და ღიად განახორციელოს; უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის დაინტერესებულ პირზე გაცემა ან/და ხელი

შეუწყოს მის გაცემას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; გამჟღავნებისგან დაიცვას სხვისი პერსონალური მონაცემები, სახელმწიფო, კომერციული და პროფესიული საიდუმლოებები, რომლებიც მისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გახდა ცნობილი; სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოპოვებული ინფორმაცია მხოლოდ კანონით განსაზღვრული მიზნით გამოიყენოს.

4.12. ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ვალდებულია, როგორც სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, ისე სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ არ გაავრცელოს სახელმწიფო, კომერციული და პროფესიული საიდუმლოებები, სხვა პირის ოჯახურ და პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, აგრეთვე სხვა ინფორმაცია (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილის გათვალისწინებით), რომლებიც მისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გახდა ცნობილი.

4.13. ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ვალდებულია, სამსახურებრივი უფლებამოსილება რესურსების ეკონომიურად გამოყენებითა და ხარჯვით განახორციელოს და რაციონალურად გამოიყენოს საჯარო დაწესებულების ქონება, რომელიც დაწესებულების გამართულ საქმიანობას ემსახურება.

4.13.1. ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ვალდებულია, შევსებაში გასვლამდე, აგრეთვე თანამდებობიდან გათავისუფლებამდე სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით მისთვის მიწოდებული საჯარო დაწესებულების ქონების დასაბრუნებლად მიმართოს საამისოდ უფლებამოსილ პირს, რომელიც ვალდებულია, ჩაიბაროს ქონება.

4.13.2. ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ვალდებულია, სამუშაო დრო ეფექტიანად და მხოლოდ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოიყენოს.

4.13.3. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მიერ საჯარო დაწესებულების ქონებისა და სხვა რესურსების პირადი მიზნით გამოყენება დაუშვებელია.

4.14. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მიერ ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების დაცვის ვალდებულება განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით.

4.15. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დისციპლინური წარმოების საკითხები ვრცელდება ხელშეკრულებით დასაქმებულ პირზე.

მუხლი 5. სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერება

5.1. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის სამსახურებრივი უფლებამოსილება ჩერდება:

5.1.1. შევსებულების დროს.

5.1.2. დროებითი შრომისუნარობის დროს, რაც დასტურდება შესაბამისი საავადმყოფო ფურცლის საფუძველზე.

5.1.3. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულებით დასაქმებულის სამსახურიდან ჩამოშორების პერიოდში.

5.1.4. საქართველოს პრეზიდენტის, წარმომადგენლობითი ორგანოს ან მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის არჩევნებში ხელშეკრულებით დასაქმებული პირის კანდიდატად წარდგენისას, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

5.1.5. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის სამხედრო სავალდებულო სამსახურში ან არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევისას, სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის, აგრეთვე სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოსამსახურეთა მობილიზაციის დროს, თუ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს აღარ შეუძლია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება.

5.1.6. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მოთავსებისას, თუ აღარ შეუძლია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება, მაგრამ წელიწადში არაუმეტეს 30 კალენდარული დღისა. ამ შემთხვევაში, შესაბამისი საჯარო დაწესებულებისათვის შეტყობინების ვალდებულება ეკისრება ხელშეკრულებით დასაქმებული პირისათვის მომსახურების გამწევ ორგანიზაციას.

5.1.7. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხელშეკრულებით დასაქმებული პირის დაკავების, მისი ადმინისტრაციული პატიმრობის ან მისთვის ისეთი აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შემთხვევაში, რომელიც გამოიწვევს სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებას.

5.1.8. კანონის შესაბამისად ან მის საფუძველზე ხელშეკრულებით დასაქმებული პირის დროებით გათავისუფლების სხვა შემთხვევაში.

5.2. სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების პერიოდში ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უნარჩუნდება შრომითი გასამრჯელო, გარდა:

5.2.1. საქართველოს პრეზიდენტის, წარმომადგენლობითი ორგანოს ან მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის არჩევნებში ხელშეკრულებით დასაქმებული პირის კანდიდატად წარდგენისას, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

5.2.2. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის სამხედრო სავალდებულო სამსახურში ან არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევისას, სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის, აგრეთვე სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოსამსახურეთა მობილიზაციის დროს, თუ აღარ შეუძლია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება.

5.3. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების შესახებ გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

მუხლი 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. ხელშეკრულება მოქმედებს 2017 წლის 01 ივლისიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე შესაძლებელია გაგრძელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

მუხლი 7. შრომის ანაზღაურება

7.1. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის შრომის ანაზღაურება შეადგენს 415 (ოთხას თხუთმეტი) ლარს.

7.2. შრომითი გასამრჯელო ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეძლევა.

7.3. სამსახურებრივი მივლინების პერიოდში ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უნარჩუნდება თანამდებობა, შრომითი გასამრჯელო და აუნაზღაურდება სამსახურებრივი მივლინების ხარჯები.

7.4. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის ანაზღაურების სისტემა ემყარება გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებს, რომლებიც გულისხმობს თანაბარი სამუშაოს შესრულებისთვის თანაბარი ანაზღაურების მიღებას.

მუხლი 8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულება წყდება წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლით დაწესებული ვადის გასვლისთანავე.

8.2. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს 37-ე მუხლით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტით.

მუხლი 9. დავის სამართლებრივი გადაწყვეტა

წინამდებარე ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

10.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მხარეებთან. ხელშეკრულების ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

10.2. მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებული ნებისმიერი შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი შეთანხმება ძალას კარგავს ამ ხელშეკრულების ამოქმედებიდან.

10.3. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

10.4. ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი მხარეები ადასტურებენ თანხმობას მის შინაარსზე.

დაწესებულება:

ხელშეკრულებით დასაქმებული პირი:


საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო

ხელშეკრულებით დასაქმებული პირი:

მინისტრი დავით სერგეენკო

ლალი კალატოზი

(ხელმოწერა)



(ხელმოწერა)

(Handwritten signature of Lali Kalatsozi)

შრომითი ხელშეკრულება N 294

თბილისი

„12“ „12“ 2019 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში – დაწესებულება), წარმოდგენილი მინისტრის ეკატერინე ტიკარაძის სახით და მეორე მხრივ, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ილია ცინცაძე (პირადი № 01019032711) (შემდგომში – ხელშეკრულებით დასაქმებული პირი), ემოქმედებთ რა საქართველოს ორგანული კანონით – „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს მე-6 მუხლის 1² ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებამოსილებით, საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ვდებთ წინამდებარე შრომით ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია, მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მიერ ანაზღაურების სანაცვლოდ საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება.

1.2. მოქმედი კანონმდებლობითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში, ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ინიშნება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციაში შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 2. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის ფუნქციები

ხელშეკრულებით დასაქმებული პირის სამუშაო აღწერილობა შეიცავს:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულებას. აგრეთვე, სხვადასხვა დავალებების შესრულებას.

მუხლი 3. დაწესებულების უფლება-მოვალეობები

3.1. დაწესებულებას უფლება აქვს, სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად ხელშეკრულებით დასაქმებული პირი გაგზავნოს სამსახურებრივი მივლინებით, როგორც ქვეყნის ფარგლებში, ისე მის ფარგლების გარეთ.

3.2. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.


3.3. დაწესებულებას უფლება აქვს, ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება; ფასიანი საჩუქრის მიცემა.

3.4. დაწესებულება ვალდებულია, გააცნოს ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს შინაგანაწესი და მისი მოთხოვნის საფუძველზე, გადაეცეს იგი. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დასტურდება შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი.

3.5. დაწესებულება ვალდებულია, შექმნას შესაბამისი სამუშაო გარემო, აგრეთვე უზრუნველყოს ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მიმართ თანაბარი და სამართლიანი მოპყრობა ადამიანური რესურსების მართვის, კარიერული წინსვლის, ანაზღაურებისა და სამართლებრივი დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

3.6. ხელშეკრულების მხარეთა შორის ურთიერთობები, რომელსაც არ ითვალისწინებს წინამდებარე ხელშეკრულება, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

წავიდა ხელი



მუხლი 4. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის უფლება-მოვალეობები

- 4.1. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, ჰქონდეს უსაფრთხო სამუშაო პირობები და მიიღოს სამსახურებრივი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებები.
- 4.2. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის სამუშაო დრო არის კალენდარული დროის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც უნდა განახორციელოს თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილება.
- 4.2.1. ხელშეკრულებით დასაქმებული პირისთვის დადგენილია 5-დღიანი სამუშაო კვირა. სამუშაო დროის ხანგრძლივობა დღეში არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს, ხოლო კვირაში – 40 საათს.
- 4.2.2. ხელშეკრულებით დასაქმებული პირისთვის დასვენების დრო და უქმე დღეები განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით – „საქართველოს შრომის კოდექსით“.
- 4.3. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაო სრულდება მხოლოდ ზემდგომი თანამდებობის პირის წერილობითი დავალების საფუძველზე.
- 4.3.1. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მიერ შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება დასაქმებულის სურვილის შესაბამისად მისთვის დანამატის ან ზეგანაკვეთური სამუშაოს პროპორციული დამატებითი დასვენების დროის მიცემით.
- 4.3.2. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის სამუშაო დროის ხანგრძლივობა ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების დროსთან ერთად არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 48 საათს.
- 4.3.3. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით და 1 წლამდე ასაკის ბავშვის აღზრდისათვის, ისარგებლოს ნახევარ განაკვეთზე მუშაობის უფლებით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 4.3.4. საჯარო სამსახურში ნახევარ განაკვეთზე მუშაობის, ღამის საათებში, დასვენებისა და უქმე დღეებში, ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.
- 4.3.5. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, სამუშაო და დასვენების საათები, ზეგანაკვეთური სამუშაოსა და ნახევარ განაკვეთზე მუშაობის ანაზღაურების პირობები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 4.4. ხელშეკრულებით დასაქმებული პირისთვის დადგენილია ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება 24 სამუშაო დღის ოდენობით.
- 4.4.1. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა ხელშეკრულების გაფორმებიდან 11 თვის გასვლის შემდეგ. უფლებამოსილი პირის თანხმობით, ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს შვებულება შეიძლება ამ ვადის გასვლამდეც მიეცეს. ხელშეკრულების გაფორმებიდან მეორე წლიდან პირს შვებულება სამუშაო წლის ნებისმიერ დროს მიეცემა.
- 4.4.2. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება ნაწილ-ნაწილ გამოიყენოს.
- 4.4.3. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, კალენდარული წლის განმავლობაში გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულებით მომდევნო კალენდარულ წელს ისარგებლოს. ამ შემთხვევაში, შვებულების პერიოდულობა დაწესებულების ხელმძღვანელთან უნდა შეთანხმდეს.
- 4.5. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს ეძლევა შვებულებები ბავშვის მოვლის და ახალშობილის შვილად აყვანის გამო, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- 4.6. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, საჯარო სამსახურში საკუთარი უფლებების დასაცავად შექმნას პროფესიული კავშირი ან იყოს მისი წევრი.
- 4.6.1. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, არჩეულ იქნეს პროფესიული კავშირის მართვის ორგანოებში და მონაწილეობა მიიღოს მის საქმიანობაში ანაზღაურების გარეშე, სამსახურისაგან თავისუფალ დროს.
- 4.7. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს ეცნობოს საჯარო სამსახურში მის საქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და მის მიმართ

მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების შესახებ, გარდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

4.7.1. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, გაეცნოს მის პირად საქმეს და ფაქტობრივი გარემოების შეცვლის შემთხვევაში, მოითხოვოს მასში ცვლილების შეტანა.

4.7.2. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, მოითხოვოს დისციპლინური წარმოება მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გასაზიარებლად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

4.7.3. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, ისარგებლოს დამცველის დახმარებით და გაასაჩივროს მის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.8. ხელშეკრულებით დასაქმებული პირი სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვით, რომელიც გულისხმობს მის ვალდებულებას, სამუშაო საათებში თავი შეიკავოს პოლიტიკური აქტივობისაგან, საჯარო სამსახურის მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად.

4.9. ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ვალდებულია, დაიცვას „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო სამსახურის პრინციპები და თავი შეიკავოს ისეთი ქმედებისაგან, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საჯარო სამსახურის რეპუტაციას.

4.9.1. ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ვალდებულია, სპეციალური მითითების გარეშე შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობა, დაიცვას სამართლებრივი აქტების მოთხოვნები და ნაკისრი ვალდებულების შესრულების დროს იხელმძღვანელოს საქართველოს კანონმდებლობითა და მის მიერ დაკავებული თანამდებობისათვის დადგენილი სამუშაო აღწერილობით.

4.9.2. ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ვალდებულია, პატივი სცეს საქართველოს კონსტიტუციას, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ემსახუროს ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებს.

4.9.3. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ეკისრება სრული პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერებისთვის.

4.10. ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ვალდებულია, შეასრულოს უშუალო ხელმძღვანელის განკარგულება, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, იმ შემთხვევაშიც, თუ ასეთი განკარგულების შესრულება არ განეკუთვნება მის ფუნქციებს და მისი შესრულება, საჯარო დაწესებულების ფუნქციონირების ინტერესების გათვალისწინებით, აუცილებელია სტიქიური უბედურებისა და უბედური შემთხვევის თავიდან დროულად ასაცილებლად, ქონების დაღუპვისა და გაფუჭებისაგან დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი განკარგულების შესრულება საზიანოა ხელშეკრულებით დასაქმებული პირის ჯანმრთელობისათვის ან აშკარად აღემატება მის შესაძლებლობებს. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, უარი განაცხადოს განკარგულების შესრულებაზე, თუ:

4.10.1. განკარგულება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

4.10.2. განკარგულების გაცემა სცილდება განკარგულების გამცემის უფლებამოსილების ფარგლებს.

4.10.3. განკარგულების შესრულება საჭიროებს განსხვავებულ კომპეტენციასა და პროფესიულ უნარებს, რომლებიც მას არ აქვს.

4.10.4. განკარგულების შესრულება საზიანოა მისი ჯანმრთელობისათვის.

4.10.5. განკარგულება მიმართულია „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ.

4.10.6. განკარგულების შესრულება გამოიწვევს დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენას.

4.11. ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ვალდებულია: საქმიანობა გამჭვირვალედ და ღიად განახორციელოს; უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის დაინტერესებულ პირზე გაცემა ან/და ხელი

შეუწყოს მის გაცემას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; გამუდმებისგან დაიცვას სხვისი პერსონალური მონაცემები, სახელმწიფო, კომერციული და პროფესიული საიდუმლოებები, რომლებიც მისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გახდა ცნობილი; სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოპოვებული ინფორმაცია მხოლოდ კანონით განსაზღვრული მიზნით გამოიყენოს.

4.12. ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ვალდებულია, როგორც სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, ისე სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ არ გაავრცელოს სახელმწიფო, კომერციული და პროფესიული საიდუმლოებები, სხვა პირის ოჯახურ და პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, აგრეთვე სხვა ინფორმაცია (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილის გათვალისწინებით), რომლებიც მისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გახდა ცნობილი.

4.13. ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ვალდებულია, სამსახურებრივი უფლებამოსილება რესურსების ეკონომიურად გამოყენებითა და ხარჯვით განახორციელოს და რაციონალურად გამოიყენოს საჯარო დაწესებულების ქონება, რომელიც დაწესებულების გამართულ საქმიანობას ემსახურება.

4.13.1. ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ვალდებულია, შვებულებაში გასვლამდე, აგრეთვე თანამდებობიდან გათავისუფლებამდე სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით მისთვის მიწოდებული საჯარო დაწესებულების ქონების დასაბრუნებლად მიმართოს საამისოდ უფლებამოსილ პირს, რომელიც ვალდებულია, ჩაიბაროს ქონება.

4.13.2. ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ვალდებულია, სამუშაო დრო ეფექტიანად და მხოლოდ სამსახურებრივი უფლებამოსილების განახორციელებლად გამოიყენოს.

4.13.3. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მიერ საჯარო დაწესებულების ქონებისა და სხვა რესურსების პირადი მიზნით გამოყენება დაუშვებელია.

4.14. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მიერ ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების დაცვის ვალდებულება განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით.

4.15. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დისციპლინური წარმოების საკითხები ვრცელდება ხელშეკრულებით დასაქმებულ პირზე.

მუხლი 5. სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერება

5.1. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის სამსახურებრივი უფლებამოსილება ჩერდება:

5.1.1. შვებულების დროს.

5.1.2. დროებითი შრომისუუნარობის დროს, რაც დასტურდება შესაბამისი საავადმყოფო ფურცლის საფუძველზე.

5.1.3. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულებით დასაქმებულის სამსახურიდან ჩამოშორების პერიოდში.

5.1.4. საქართველოს პრეზიდენტის, წარმომადგენლობითი ორგანოს ან მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის არჩევნებში ხელშეკრულებით დასაქმებული პირის კანდიდატად წარდგენისას, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

5.1.5. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის სამხედრო სავალდებულო სამსახურში ან არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევისას, სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის, აგრეთვე სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოსამსახურეთა მობილიზაციის დროს, თუ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს აღარ შეუძლია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება.

5.1.6. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მოთავსებისას, თუ აღარ შეუძლია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება, მაგრამ წელიწადში არაუმეტეს 30 კალენდარული დღისა. ამ შემთხვევაში, შესაბამისი საჯარო დაწესებულებისათვის შეტყობინების ვალდებულება ეკისრება ხელშეკრულებით დასაქმებული პირისათვის მომსახურების გამწევ ორგანიზაციას.

5.1.7. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხელშეკრულებით დასაქმებული პირის დაკავების, მისი ადმინისტრაციული პატიმრობის ან მისთვის ისეთი აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შემთხვევაში, რომელიც გამოიწვევს სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებას.

5.1.8. კანონის შესაბამისად ან მის საფუძველზე ხელშეკრულებით დასაქმებული პირის დროებით გათავისუფლების სხვა შემთხვევაში.

5.2. სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების პერიოდში ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უნარჩუნდება შრომითი გასამრჯელო, გარდა:

5.2.1. საქართველოს პრეზიდენტის, წარმომადგენლობითი ორგანოს ან მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის არჩევნებში ხელშეკრულებით დასაქმებული პირის კანდიდატად წარდგენისას, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

5.2.2. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის სამხედრო სავალდებულო სამსახურში ან არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევისას, სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის, აგრეთვე სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოსამსახურეთა მობილიზაციის დროს, თუ აღარ შეუძლია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება.

5.3. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების შესახებ გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

მუხლი 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. ხელშეკრულება მოქმედებს 2019 წლის 16 დეკემბრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე შესაძლებელია გაგრძელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

მუხლი 7. შრომის ანაზღაურება

7.1. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის შრომის ანაზღაურება შეადგენს 4 000 (ოთხი ათასი) ლარს.

7.2. შრომითი გასამრჯელო ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეძლევა.

7.3. სამსახურებრივი მივლინების პერიოდში ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უნარჩუნდება თანამდებობა, შრომითი გასამრჯელო და აუნაზღაურდება სამსახურებრივი მივლინების ხარჯები.

7.4. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის ანაზღაურების სისტემა ემყარება გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებს, რომლებიც გულისხმობს თანაბარი სამუშაოს შესრულებისთვის თანაბარი ანაზღაურების მიღებას.

მუხლი 8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულება წყდება წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლით დაწესებული ვადის გასვლისთანავე.

8.2. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს 37-ე მუხლით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტით.

მუხლი 9. დავის სამართლებრივი გადაწყვეტა

წინამდებარე ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

10.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მხარეებთან. ხელშეკრულების ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

10.2 შრომითი ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

10.3. მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებული ნებისმიერი შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი შეთანხმება ძალას კარგავს ამ ხელშეკრულების ამოქმედებიდან.

10.4. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

10.5. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერი მხარეები ადასტურებენ თანხმობას მის შინაარსზე.

დაწესებულება:


ხელშეკრულებით დასაქმებული პირი:


საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო


მინისტრი

ვატერინე ტიკარაძე

ილია ცინცაძე


(ხელმოწერა)




(ხელმოწერა)

შრომითი ხელშეკრულება №511

ქ. თბილისი

„09“ „ივლისი“ 2012 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო) მინისტრის დალი ხომერიკის სახით, ხოლო მეორეს მხრივ სპარტაკ სილაძე (შემდგომში – შემსრულებელი), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის სპეციალისტის (მძღოლი) ფუნქციების შესრულება.

2. ხელშეკრულების პირობები

1. შემსრულებელი არის მატერიალურად პასუხისმგებელი პირი მასზედ მიმაგრებულ ავტომანქანაზე.

2. შემსრულებელს მიეცემა შრომითი გასამრჯელო 800 (რვაასი) ლარის ოდენობით ყოველთვიურად.

3. მხარეთა უფლებამოსილებები

1. სამინისტრო ვალდებულია:

- ა) განუსაზღვროს შემსრულებელს შესაბამისი ავტომანქანა;
- ბ) დაიცვას შემსრულებლის შრომითი უფლებები;
- გ) დროულად და შეუფერხებლად აუნაზღაუროს შემსრულებელს შრომითი გასამრჯელო;

2. სამინისტრო უფლებამოსილია:

- ა) მოსთხოვოს შემსრულებელს მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ხარისხიანი და ჯეროვანი შესრულება;
- ბ) მოითხოვოს შემსრულებლისაგან მისი მიზეზით მიყენებული ზიანის ანაზღაურება;
- გ) საკუთარი ინიციატივით ვადაძლე შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება;

3. შემსრულებელი ვალდებულია:

- ა) პასუხისმგებლობით და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- ბ) დაიცვას და არ დაუშვას სახელმწიფო ქონების განადგურება ან/და დაზიანება;

4. შემსრულებელი უფლებამოსილია:

- ა) მოითხოვოს სამინისტროსაგან ხელშეკრულების პირობების ჯეროვანი შესრულება;
- ბ) მოითხოვოს გაწეული შრომის ანაზღაურება.

4. დავების გადაწყვეტა

მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლო წესით.

5. ხელშეკრულების მოქმედება

1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2012 წლის 9 ივლისიდან და ძალაშია 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. სამინისტროს ინიციატივით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში შემსრულებელი იღებს შრომით გასამრჯელოს შესრულებული სამუშაოს პროპორციულად.

3. შემსრულებლის ინიციატივით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში იგი შრომით გასამრჯელოს არ იღებს.

6. სხვა პირობები

1. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივეს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.


2. ორივე მხარეს გადაეცემა ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი.

7. მხარეთა რეკვიზიტები

სამინისტრო:

დალი ხომერიკი

მინისტრი



შემსრულებელი:

ლ. ს. ბ

სპარტაკ სილაძე

№31001013397 №0371068

მცხეთის რაიონი, სოფ. ძაღისი

(მისამართი, რეკვიზიტები)

შრომითი ხელშეკრულება N63-შ

ქ. თბილისი

31 დეკემბერი 2015 წ.

ერთის მხრივ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო), წარმოდგენილი მინისტრის სოზარ სუბარის (შემდგომში "დამსაქმებელი") სახით და მეორეს მხრივ, მოქალაქე ზურაბ გიორგაძე (პ/ნ N01024034033) /შემდგომში „მოსამსახურე"/, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს შრომის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე შრომით ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე დამსაქმებელი იღებს მოქალაქე ზურაბ გიორგაძეს (N01024034033) სამუშაოზე სამინისტროს დამხმარეს პოზიციაზე, რომლის სამუშაო აღწერილობა მოცემულია ხელშეკრულების დანართში.

2. მოსამსახურის ძირითადი სამუშაო ადგილია: თბილისი თამარაშვილის 15ა (სამუშაო ადგილის მისამართი).

II. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

1. დამსაქმებელი ვალდებულია:

ა) საქმიანობის დაწყებამდე გააცნოს მოსამსახურეს სამინისტროს შინაგანაწესი და მისი სამუშაოს აღწერილობა, განუმარტოს მოსამსახურეს მისი უფლება-მოვალეობები;

ბ) შეუქმნას მოსამსახურეს სამსახურებრივი საქმიანობის შესასრულებლად საჭირო პირობები, გადასცეს სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო აღჭურვილობა, მოწყობილობები, ინვენტარი და ტექნიკური საშუალებები;

გ) უზრუნველყოს მოსამსახურე შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობებით;

დ) დროულად გადაუხადოს მოსამსახურეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურება;

ე) მოქმედი კანონმდებლობისა და სამინისტროს შინაგანაწესის შესაბამისად აუნაზღაუროს მოსამსახურეს მივლინების ხარჯები;

ვ) მოქმედი კანონმდებლობისა და სამინისტროს შინაგანაწესის შესაბამისად უზრუნველყოს მოსამსახურე ანაზღაურებადი შვებულებით, დასაქმებიდან 11 თვის გასვლის შემდგომ ან მხარეთა შეთანხმებით;

ზ) გამონაკლის შემთხვევაში, ოჯახური მდგომარეობის გამო მოსამსახურე გაუშვას რიგგარეშე ანაზღაურებად შვებულებაში არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ოდენობით (ერთად ან ცალ-ცალკე), რაც არ აკლდება მოსამსახურის შვებულების დღეების საერთო რაოდენობას; ავადმყოფობის გამო შრომისუუნარობა არ უნდა აღემატებოდეს ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა - 60 კალენდარულ დღეს.

თ) უზრუნველყოს სამინისტროს შინაგანაწესისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვა მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობისას.

2. დამსაქმებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს მოსამსახურეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს კეთილსინდისიერად, დროულად, მაღალ პროფესიულ დონეზე და სრულად შესრულება;

ბ) აწარმოოს მოსამსახურის საქმიანობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი აღრიცხვა. იმ შემთხვევაში თუ დამსაქმებელი აწარმოებს ასეთ აღრიცხვას, იგი ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ მოსამსახურეს. დამსაქმებელი არ გადასცემს ზემოაღნიშნულ ინფორმაციას მესამე პირებს, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

გ) სამინისტროს შიდა სამართლებრივი აქტით განსაზღვროს სამინისტროში სამუშაოს ორგანიზების, საქმიანობის განხორციელებისა და სამუშაო დროის განმავლობაში მოსამსახურის საქმიანობის, ასევე მის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების წესი და პირობები.

დ) ხელი შეუწყოს მოსამსახურის პროფესიული დონის ზრდას. მოაწყოს ამ მიზნით შესაბამისი სემინარები, ლექციები და სხვა ღონისძიებები. საჭიროების შემთხვევაში, გააგზავნოს მოსამსახურე სპეციალურ კურსებსა და შეკრებებზე.

ე) შეფასების მიზნით, შეიძლება ჩაუტაროს მოსამსახურეს ატესტაცია ან სხვა რაიმე ტიპის შეფასება მინიმუმ 3 წელიწადში ერთხელ.

3. მოსამსახურე ვალდებულია:

ა) კეთილსინდისიერად, მაღალ პროფესიულ დონეზე, დროულად, და სრულად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო;

ბ) დამქირავებლის მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ;

გ) სამუშაოს შესრულებისას დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით, სამინისტროს შინაგანაწესითა და სამინისტროს სხვა შიდასამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნები;

დ) სამუშაოს შესრულებისას დაიცვას სამინისტროში დაწესებული ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების წესები, მოსთხოვოს იგივე მის ქვემდგომ მოსამსახურეს.

ე) დაიცვას და გაუფრთხილდეს მისთვის გადაცემულ სამინისტროს მატერიალურ ფასეულობასა და სხვა ქონებას, იზრუნოს მათ მოვლა-პატრონობაზე. შვებულებაში წასვლისას ან სამსახურიდან განთავისუფლებისას გადასცეს მასზედ მინდობილი ქონება და მატერიალური ფასეულობანი ამ მიზნით დანიშნულ პირს.

ვ) დაიცვას სამინისტროში არსებული სამსახურეობრივი ინფორმაციის კონფიდენციალობა, არ გაამჟღავნოს სამინისტროში კონფიდენციალურად მიჩნეული ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას. ეს ვალდებულება ძალაში რჩება ხელშეკრულების მოქმედების დასრულების შემდეგაც, 3 წლის განმავლობაში;

ზ) შესაძლოდ უმოკლეს ვადაში შეატყობინოს დამსაქმებელს მისი ავადმყოფობის შესახებ და სამუშაოზე გამოცხადების შემდეგ წარადგინოს დადგენილი ფორმის საავადმყოფო ფურცელი, რომლის მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 სამუშაო დღეს.

4. მოსამსახურე უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს დამსაქმებელს ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის დაცვა მათ შორის სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში;

ბ) მოსთხოვოს დამსაქმებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაურის დროულად გადახდა;

გ) სამინისტროს შინაგანაწესით დადგენილი წესით ისარგებლოს ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით; ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო, შვებულების გაცემის წესი რეგულირდება საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად;

დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით აუნაზღაურდეს მივლინების ხარჯები;

ე) სამინისტროს შინაგანაწესით დადგენილი წესით, უშუალო ხელმძღვანელთან წარადგინოს წინადადებები სამუშაო პირობებთან დაკავშირებით, მოითხოვოს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით საჭირო აღჭურვილობა, მოწყობილობები, ინვენტარი და ტექნიკური საშუალებები;

ვ) ისარგებლოს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული დასვენებისა და უქმე დღეებით;

ზ) დამსაქმებელსაგან მოითხოვოს და მიიღოს ცნობები მისი დასაქმების, ხელფასის ოდენობის, დაზღვევის, დაბეგვრისა და პენსიის შესახებ;

თ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოითხოვოს სამუშაოს შესრულებისას მასზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

ი) ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით – წელიწადში სულ მცირე 15 კალენდარული დღით. ანაზღაურების გარეშე შვებულების აღებისას მოსამსახურე ვალდებულია 2 კვირით ადრე გააფრთხილოს დამსაქმებელი შვებულების აღების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაფრთხილება შეუძლებელია გადაუდებელი სამედიცინო ან ოჯახური პირობების გამო.

III. მოსამსახურის შრომის ანაზღაურება

მოსამსახურე იღებს შრომის ანაზღაურებას 800 (რვაასი) ლარის ოდენობით, უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

IV. მოსამსახურის სამუშაო დრო

1. სამინისტროს სისტემაში მოსამსახურის სამუშაო დრო განსაზღვრულია 5 დღიანი სამუშაო კვირით. მოსამსახურეს კვირაში ეძლევა ორი დასვენების დღე.

2. სამინისტროში ყოველდღიური სამუშაო დროის ხანგრძლივობა განსაზღვრულია 09:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე, 1 საათიანი შესვენების პერიოდით 13:00 – 14:00. სამუშაო საათები/არანორმირებული სამუშაო საათები შეიძლება შეიცვალოს/დადგინდეს სამინისტროს შინაგანაწესის საფუძველზე ან უშუალო ხელმძღვანელთან შეთანხმებით, მაგრამ იგი არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ ოდენობას.

3. სამსახურებრივი აუცილებლობის შემთხვევაში, მოსამსახურე კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად იღებს ვალდებულებას იმუშაოს ზეგანაკვეთურად ან/და უქმე დღეებში. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით დასვენების დღეებში გადაუდებელი მივლინება ანაზღაურდება სამუშაო დღეების ხარჯზე. ზეგანაკვეთურად მუშაობის შემთხვევაში (დღეში 8 საათზე მეტი), მოსამსახურე იღებს დანამატს ზეგანაკვეთური მუშაობისათვის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით.

V. დისციპლინარული პასუხისმგებლობა

მოსამსახურის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან/და სამინისტროს შინაგანაწესის, ან მისთვის დაკისრებული ფუნქციების სისტემატიური დარღვევის ან შეუსრულებლობის, ან მის მიერ სამუშაოს არასაპატიო მიზეზით გაცდენის, ან სამუშაოს არაჯეროვანი შესრულების გამო, მოსამსახურეს შეიძლება დაეკისროს ერთ-ერთი შემდეგი დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომა:

ა) შენიშვნა; ბ) გაფრთხილება; გ) არაუმეტეს 10 დღის შრომის ანაზღაურების დაკავება.

VI. ხელშეკრულების ვადა

1. შრომითი ხელშეკრულება ძალაშია 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია ხელშეკრულება გაგრძელდეს უვადოდ.

2. შრომითი ხელშეკრულება დადებულია ითვლება მასზე მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

3. შრომითი ხელშეკრულება ითვლება გაგრძელებულად, თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 2 კვირით ადრე ერთ-ერთი მხარე არ შეატყობინებს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

VII. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა/მოშლა

1. წინამდებარე შრომითი ხელშეკრულება და მის საფუძველზე არსებული შრომითი ურთიერთობები წყდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველით.

2. წინამდებარე შრომითი ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე მხარის ინიციატივით, საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად.

3. დამსაქმებელი უფლებამოსილია ვადამდე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება:

ა) სამინისტროს რეორგანიზაციის ან შტატების შემცირების გამო;

ბ) თუ გამოვლინდა, რომ მოსამსახურე არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას ან შესასრულებელ სამუშაოს არასაკმარისი კვალიფიკაციის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო;

გ) მოსამსახურის მიერ შრომითი ხელშეკრულების ან შინაგანაწესის სისტემატიური დარღვევის ან შეუსრულებლობის, ან მის მიერ სამუშაოს არასაპატიო მიზეზით გაცდენის, ან სამუშაოს არაჯეროვანი შესრულების გამო, თუ მის მიმართ უკვე იყო გატარებული დისციპლინური ზომა;

დ) საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი სხვა საფუძველით.

4. თუ შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა ხდება მოსამსახურის ინიციატივით, იგი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე წინასწარ, არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე, წერილობითი შეტყობინებით, გააფრთხილოს დამსაქმებელი.

5. თუ შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა ხდება დამსაქმებლის ინიციატივით, იგი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე წინასწარ, არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე, წერილობითი შეტყობინებით, გააფრთხილოს მოსამსახურე, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

VIII. დავათა გადაწყვეტა

1. მხარეები თანხმდებიან, რომ დაიცვენ და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს და პატივს სცემენ ერთმანეთის უფლებებს.

2. ხელშეკრულებისა და მასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის გადაწყდება მოლაპარაკების გზით ურთიერთშეთანხმებით. მოლაპარაკების საფუძველზე სადავო საკითხის გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

IX . დასკვნითი დებულებანი

1. საკითხები, რომელიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება სამინისტროს შინაგანაწესის, საქართველოს შრომის კოდექსისა და საქართველოს სხვა კანონმდებლობის შესაბამისად.

2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ იდენტურ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან. ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

3. ხელშეკრულებაში ცალმხრივად შეტანილ ცვლილებებს არ გააჩნია იურიდიული ძალა. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება მხოლოდ მხარეების თანხმობით. შეთანხმებული ცვლილებები ორი კვირის ვადაში დამსაქმებლის მიერ წერილობით ეცნობება მოსამსახურეს და დანართის სახით დაემატება ხელშეკრულებას.

4. წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შრომის კოდექსით დადგენილი დისპოზიციური ნორმების მიმართ.

X. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

სოზარ სუბარი

მინისტრი

11



ზურაბ გეორგაძე

(N01024034033)

სამუშაოს აღწერილობა	
თანამშრომლის სახელი და გვარი:	ზურაბ გიორგაძე
დეპარტამენტი/სამმართველო:	
თანამდებობა:	დამხმარე მოსამსახურე
სამტატო სტატუსი (შტატში, შტატგარეშე, სტაჟიორი):	დამხმარე მოსამსახურე
შტატით გათვალისწინებული თანამდებობა:	
მინიჭებული სპეციალური წოდება:	
თანამდებობის რანგი:	უმცროსი საჯარო მოხელე
უშუალო მენეჯერი:	ირაკლი უჯმაჯურიძე
პირები, რომლებთანაც ხართ ანგარიშვალდებული:	ირაკლი უჯმაჯურიძე, ნოდარ ყოჩიშვილი
დაინტერესებული პირები, რომლებთანაც გიწევთ სამსახურეობრივი ურთიერთობა:	
დაქვემდებარებული თანამშრომლების რაოდენობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):	
სამუშაოს მიზანი: მინისტრის ან/და მინისტრის მოადგილის ან/და სამინისტროს მოხელეთა ავტომანქანით გადაადგილების (ტრანსპორტირება) უზრუნველყოფა;	

ძირითადი მოვალეობები	
1 მოვალეობა (80 %)	მინისტრის ან/და მინისტრის მოადგილის ან/და სამინისტროს მოხელეთა გადაადგილების უზრუნველყოფა;
პროცესის დეტალური აღწერა	
2 მოვალეობა (20)	
პროცესის დეტალური აღწერა	ავტომანქანის გამართული მუშაობის კონტროლის განხორციელება, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სამსახურის ინფორმირება და სახელოსნოში წაყვანა;

განათლება:	
------------	--

გამოცდილება: სასურველია მძღოლად მუშაობის 1 წლიანი გამოცდილება

უნარ-ჩვევები: პუნქტუალობა, ორგანიზებულობა;
კომპიუტერული პროგრამები:

დამატებითი ინფორმაცია

სამუშაო გრაფიკი: 09.00-18.00

ზეგანაკვეთური საათები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საჭიროების შემთხვევაში

შვებულებით განკუთვნილი დღეების რაოდენობა: 30 კალენდარული დღე

ავადმყოფობის შემთხვევაში ანაზღაურებადი დღეების რაოდენობა: კანონის შესაბამისად
სრულად ანაზღაურებადი

სამსახუროებრივი სარგო: 800 ლარი

სხვა სარგებელი: კორპორატიული ნომერი

თანამშრომლის ხელმოწერა

თარიღი 31.12.2016

უშუალო მენეჯერის ხელმოწერა:

ზურაბ გიორგაძე

ირაკლი უჯმაჯურიძე

შრომითი ხელშეკრულება N 170

თბილისი

„02“ „09“ 2019 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში – დაწესებულება), წარმოდგენილი მინისტრის ეკატერინე ტიკარაძის სახით და მეორე მხრივ, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული თათია ხაბეიშვილი (პირადი №01008051829) (შემდგომში – ხელშეკრულებით დასაქმებული პირი), ვმოქმედებთ რა საქართველოს ორგანული კანონით – „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს მე-6 მუხლის 1² ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებამოსილებით, საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ვდებთ წინამდებარე შრომით ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია, მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მიერ ანაზღაურების სანაცვლოდ საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება.

1.2. მოქმედი კანონმდებლობითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში, ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ინიშნება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტ-კონსულტანტად სამართლებრივ და იურიდიულ საკითხებში.

მუხლი 2. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის ფუნქციები

ხელშეკრულებით დასაქმებული პირის სამუშაო აღწერილობა შეიცავს: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროექტებისა და პროგრამების ანალიზს, მიმდინარე საკითხების შემუშავებაში იურიდიულ/სამმართველო კონსულტაციების გაწევას, რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავებას გაუმჯობესების მიზნით და სხვადასხვა დავალებების შესრულებას.

მუხლი 3. დაწესებულების უფლება-მოვალეობები

3.1. დაწესებულებას უფლება აქვს, სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად ხელშეკრულებით დასაქმებული პირი გაგზავნოს სამსახურებრივი მივლინებით, როგორც ქვეყნის ფარგლებში, ისე მის ფარგლების გარეთ.

3.2. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

3.3. დაწესებულებას უფლება აქვს, ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მაღლობის გამოცხადება; ფასიანი საჩუქრის მიცემა.

3.4. დაწესებულება ვალდებულია, გააცნოს ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს შინაგანაწესი და მისი მოთხოვნის საფუძველზე, გადაეცეს იგი. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დასტურდება შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი.

3.5. დაწესებულება ვალდებულია, შექმნას შესაბამისი სამუშაო გარემო, აგრეთვე უზრუნველყოს ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მიმართ თანაბარი და სამართლიანი მოპყრობა

ადამიანური რესურსების მართვის, კარიერული წინსვლის, ანაზღაურებისა და სამართლებრივი დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

3.6. ხელშეკრულების მხარეთა შორის ურთიერთობები, რომელსაც არ ითვალისწინებს წინამდებარე ხელშეკრულება, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის უფლება-მოვალეობები

4.1. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, ჰქონდეს უსაფრთხო სამუშაო პირობები და მიიღოს სამსახურებრივი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებები.

4.2. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის სამუშაო დრო არის კალენდარული დროის ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ახორციელებს სამსახურებრივ უფლებამოსილებას როგორც სამუშაო ადგილზე, ისე მის გარეთ, უშუალო ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

4.2.1. ხელშეკრულებით დასაქმებული პირისთვის დადგენილია 5-დღიანი სამუშაო კვირა. სამუშაო დროის ხანგრძლივობა დღეში არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს, ხოლო კვირაში – 40 საათს.

4.2.2. ხელშეკრულებით დასაქმებული პირისთვის დასვენების დრო და უქმე დღეები განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით – „საქართველოს შრომის კოდექსით“.

4.3. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაო სრულდება მხოლოდ ზემდგომი თანამდებობის პირის წერილობითი დავალების საფუძველზე.

4.3.1. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მიერ შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება დასაქმებულის სურვილის შესაბამისად მისთვის დანამატის ან ზეგანაკვეთური სამუშაოს პროპორციული დამატებითი დასვენების დროის მიცემით.

4.3.2. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის სამუშაო დროის ხანგრძლივობა ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების დროსთან ერთად არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 48 საათს.

4.3.3. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით და 1 წლამდე ასაკის ბავშვის აღზრდისათვის, ორსულობის პერიოდში ისარგებლოს ნახევარ განაკვეთზე მუშაობის უფლებით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.3.4. საჯარო სამსახურში ნახევარ განაკვეთზე მუშაობის, ღამის საათებში, დასვენებისა და უქმე დღეებში, ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

4.3.5. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ორსულთა და მეძუძურ დედათა სამუშაო და დასვენების საათები, ზეგანაკვეთური სამუშაოსა და ნახევარ განაკვეთზე მუშაობის ანაზღაურების პირობები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.4. ხელშეკრულებით დასაქმებული პირისთვის დადგენილია ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება 24 სამუშაო დღის ოდენობით.

4.4.1. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა ხელშეკრულების გაფორმებიდან 11 თვის გასვლის შემდეგ. უფლებამოსილი პირის თანხმობით, ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს შვებულება შეიძლება ამ ვადის გასვლამდეც მიეცეს. ხელშეკრულების გაფორმებიდან მეორე წლიდან პირს შვებულება სამუშაო წლის ნებისმიერ დროს მიეცემა.

4.4.2. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება ნაწილ-ნაწილ გამოიყენოს.

4.4.3. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, კალენდარული წლის განმავლობაში გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულებით მომდევნო კალენდარულ წელს ისარგებლოს. ამ შემთხვევაში, შვებულების პერიოდულობა დაწესებულების ხელმძღვანელთან უნდა შეთანხმდეს.

4.5. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს ეძლევა შვებულებები ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის და ახალშობილის შვილად აყვანის გამო, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

4.6. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, საჯარო სამსახურში საკუთარი უფლებების დასაცავად შექმნას პროფესიული კავშირი ან იყოს მისი წევრი.

4.6.1. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, არჩეულ იქნეს პროფესიული კავშირის მართვის ორგანოებში და მონაწილეობა მიიღოს მის საქმიანობაში ანაზღაურების გარეშე, სამსახურისაგან თავისუფალ დროს.

4.7. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს ეცნობოს საჯარო სამსახურში მის საქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და მის მიმართ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების შესახებ, გარდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

4.7.1. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, გაეცნოს მის პირად საქმეს და ფაქტობრივი გარემოების შეცვლის შემთხვევაში, მოითხოვოს მასში ცვლილების შეტანა.

4.7.2. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, მოითხოვოს დისციპლინური წარმოება მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გასაბათილებლად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

